



საქართველოს ეროვნული ბანკი
National Bank of Georgia

იპსიპოსი

თვის პროგნოზი

2025

ინფლაცია	3
საბანკო სექტორი	5
საგარეო სექტორი	7
სავალუტო ბაზარი	11
ფულადი ბაზარი	14
მონეტარული აგრეგატები	15

“თვის მიმოხილვა“
მომზადებულია საქართველოს ეროვნული ბანკის
მაკროეკონომიკისა და სტატისტიკის დეპარტამენტის მიერ

ინფლაცია


ინფლაცია სამიზნე 3 პროცენტთან მარჯვენელთან ახლოს ნარჩუნდება. მაისში წლიურმა ინფლაციამ 3.5% შეადგინა, ხოლო აპრილთან შედარებით ფასების საერთო დონემ 0.4%-ით მოიმატა. ინფლაციაზე ზრდის მიმართულებით სურსათის ფასები მოქმედებს, ხოლო ინტერნეტის გადასახდელთან ერთად საწვავის ფასები კვლავ დისინფლაციურია. აღნიშნულს მსოფლიოში ნავთობის ფასის გათვალისწინება განაპირობებს, ხოლო სურსათის ფასების ინფლაცია გარკვეულწილად საერთაშორისო ბაზრებზე გაზრდილ ფასებს უკავშირდება.

საბაზო ინფლაციამ, რომელიც სამომხმარებლო კალათიდან მალალი მერყეობით გამორჩეულ სურსათის, ენერგომომარებულების და სიგარეტის ფასებს გამორიცხავს, 2.0% შეადგინა.

თვის ინფლაცია 0.4% (მნიშვნელოვანი წვლილები)



წლიური ინფლაცია 3.5% (მნიშვნელოვანი წვლილები)




წყარო: საქსტატი; საქართველოს ეროვნული ბანკის გაანგარიშებები

მაისში გასულ თვესთან შედარებით სამომხმარებლო კალათაში ყველაზე მნიშვნელოვანი კარტოფილის 33.5%-იანი გაძვირება იყო, რის შედეგადაც თვის ინფლაცია 0.4 პპ-ით გაიზარდა. შემცირების მხრივ აღსანიშნავია ყველის და ბენზინის გათვალისწინება, რამაც თვის ინფლაცია ჯამში 0.2 პპ-ით შეამცირა.


წლიურად, როგორც აღვნიშნეთ, ინფლაციის მატებაზე ყველაზე მეტად სურსათის გაძვირება მოქმედებდა. სურსათი გასულ წლის მაისთან შედარებით 8.0%-ით გაძვირდა (გავლენა ინფლაციაზე 2.5 პპ). კერძოდ, კარტოფილის ინფლაციასთან ერთად, უნდა აღინიშნოს პურის, ზეთის და იმერული ყველის გაძვირება, რამაც ინფლაცია ჯამში 1.5 პპ-ით გაზარდა. სხვა პროდუქტებიდან აღსანიშნავია სისხლძარღვთა გამაფართოებელი მედიკამენტებისა და თერაპევტის კონსულტაციის გაძვირება (ჯამური გავლენა ინფლაციაზე 0.3 პპ). საწვავის და ინტერნეტის გათვალისწინებამ ინფლაცია შესაბამისად 0.5 პპ და 0.4 პპ-ით შეამცირა.

მთლიანი და საბაზო ინფლაცია



წყარო: საქსტატი


ჯგუფების წლილი მთლიან ინფლაციაში




წყარო: საქსტატი; საქართველოს ეროვნული ბანკის გაანგარიშებები

ადგილობრივად და შერეულად წარმოებული პროდუქტების წლიურმა ინფლაციამ შესაბამისად 4.9% და 5.8% შეადგინა. ადგილობრივი ინფლაციის მატება ყველაზე მეტად პურის გაძვირებას უკავშირდება. მომსახურების ინფლაცია, რომელიც ადგილობრივი ძირითადი შემადგენელი ნაწილია, წინა თვესთან შედარებით შენედა და მაისში 2.2%-ს გაუცოლდა. შერეული ინფლაციის მატება ყველაზე მეტად მზესუმზირის ზეთისა და კარტოფილის გაძვირებას უკავშირდება. იმპორტირებულ პროდუქტებში დიდწილად საწვავის გათვალისწინება გავლენით 2.0%-იანი დეფლაცია დაფიქსირდა.

იმპორტული, შერეული და ადგილობრივად წარმოებული პროდუქტების ინფლაცია და მათი წვლილები მთლიან ინფლაციაში



წყარო: საქსტატი



წყარო: საქსტატი


ინფლაცია ჯგუფების მიხედვით	2025 წლის წონები	მაი25/აპრ25		მაი25/მაი24	
		ინფლაცია	წვლილი	ინფლაცია	წვლილი
სულ	100.0%	0.4%	0.4%	3.5%	3.5%
სურსათი და უალკოჰოლო სასმელები	34.5%	1.6%	0.6%	8.3%	2.8%
სურსათი	31.7%	1.6%	0.5%	8.0%	2.5%
პური და პურპროდუქტები	6.9%	0.6%	0.0%	8.4%	0.6%
ხორცი და ხორცპროდუქტები	7.0%	0.9%	0.1%	2.2%	0.2%
თევზი	0.5%	1.4%	0.0%	6.9%	0.0%
რძე, ყველი და კვერცხი	6.1%	-1.6%	-0.1%	6.9%	0.4%
ზეთი და ცხიმი	2.9%	-0.1%	0.0%	22.5%	0.6%
ხილი, ყურძენი	1.7%	8.3%	0.2%	-4.7%	-0.1%
ბოსტნეული, ბალახეული, კარტოფილის და სხვა ბოლქვოვანების ჩათვლით	3.0%	8.7%	0.3%	17.6%	0.6%
შაქარი, ჯემი, თაფლი, სიროფები, შოკოლადი, საკონდიტრო ნაწარმი	2.9%	1.2%	0.0%	9.5%	0.3%
კვების სხვა პროდუქტები	0.6%	2.7%	0.0%	5.0%	0.0%
უალკოჰოლო სასმელები	2.8%	1.0%	0.0%	12.2%	0.3%
ალკოჰოლური სასმელები და თამბაქო	6.4%	0.2%	0.0%	3.3%	0.2%
ტანსაცმელი და ფეხსაცმელი	4.7%	0.8%	0.0%	0.8%	0.0%
საცხოვრებელი სახლი, წყალი, ელექტროენერგია, აირი და სათბობის სხვა სახეები	9.8%	-0.1%	0.0%	0.6%	0.1%
ავტო, საოჯახო ნივთები და მორთულობა, სახლის მოვლა-შეკეთება	5.3%	0.0%	0.0%	-2.3%	-0.1%
ჯანმრთელობის დაცვა	8.1%	0.0%	0.0%	9.0%	0.7%
ტრანსპორტი	10.9%	-1.1%	-0.1%	-4.5%	-0.5%
კავშირგაბმულობა	3.2%	-0.7%	0.0%	-12.8%	-0.5%
დასვენება, გართობა და კულტურა	3.8%	-0.3%	0.0%	-0.4%	0.0%
განათლება	5.4%	0.0%	0.0%	4.9%	0.3%
სასტუმროები, კაფეები და რესტორნები	3.1%	1.4%	0.0%	6.0%	0.2%
სხვადასხვა საქონელი და მომსახურება	4.7%	-0.1%	0.0%	5.9%	0.3%
მოკლევადიანი მოხმარების საქონელი	60.8%	0.6%	0.3%	4.8%	2.9%
საშუალოვადიანი მოხმარების საქონელი	8.1%	0.9%	0.1%	-0.3%	0.0%
ხანგრძლივადიანი მოხმარების საქონელი	5.2%	0.1%	0.0%	-0.8%	0.0%
მომსახურება	25.9%	0.1%	0.0%	2.2%	0.6%

წყარო: საქსტატი

საბანკო სექტორი


აპრილში, საბანკო სექტორის სადეპოზიტო ვალდებულებები¹ წლიურად, 6.2 მლრდ ლარით, 11.8%-ით გაიზარდა და 58.4 მლრდ ლარი შეადგინა. თვის ქრილში კი 0.8 მლრდ ლარით გაიზარდა. წინა თვესთან შედარებით, ეროვნული ვალუტის სადეპოზიტო ვალდებულებები 0.3 მლრდ ლარით (1.0%-ით) გაიზარდა და 27.8 მლრდ ლარი შეადგინა. აღნიშნული ზრდა, ფიზიკური პირის დეპოზიტების მადებამ (334.2 მლნ ლარით) განაპირობა. რაც შეეხება, უცხოური ვალუტის დეპოზიტებს, წინა თვესთან შედარებით, 0.2 მლრდ ლარის კლება დაფიქსირდა.

სადეპოზიტო ვალდებულებები



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


სადეპოზიტო ვალდებულებები



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


აპრილში, დეპოზიტების საშუალო შენონილი საპროცენტო განაკვეთები (მთავრობის დეპოზიტებზე არსებული საპროცენტო განაკვეთების გარეშე), წინა თვესთან შედარებით 0.3 პპ-ით შემცირდა და 5.6%-ს გაუტოლდა. ეროვნული ვალუტით დენომინირებულ დეპოზიტებზე, საშუალო შენონილი წლიური საპროცენტო განაკვეთი 0.2 პპ-ით შემცირდა და 7.5%-ი შეადგინა, უცვლელია უცხოური ვალუტით განთავსებულ დეპოზიტებზე საპროცენტო განაკვეთი და 1.9%-ის ნიშნულზე. რეზიდენტების ლარის ვადიანი დეპოზიტების საპროცენტო განაკვეთი 0.3 პპ-ით შემცირდა და 10.9% შეადგინა. ასევე, გაიზარდა ევროს ვადიანი დეპოზიტის საპროცენტო განაკვეთები, 0.5 პპ-ით, 1.8%-მდე. აშშ დოლარის ვადიანი დეპოზიტების საპროცენტო განაკვეთები კი უცვლელია და 2.7%-ის ნიშნულზეა.

დეპოზიტების საპროცენტო განაკვეთები (მთავრობის გარეშე, ნაპალი)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

რეზიდენტების ვადიანი დეპოზიტების საპროცენტო განაკვეთები ვალუტების მიხედვით (ნაპალი)




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

დეპოზიტების დოლარიზაციამ, აპრილში, 52.2% შეადგინა. აპრილის ბოლოს, ფიზიკური პირების დეპოზიტების დოლარიზაცია 0.5 პპ-ით, 65.3%-მდე, ხოლო იურიდიული პირების დოლარიზაცია 0.7 პპ-ით, 42.4%-მდე, შემცირდა. ამასთან, ფიზიკური პირების ვადიანი დეპოზიტების დოლარიზაცია, აპრილში, წინა თვესთან შედარებით 0.4 პპ-ით, 62.6%-მდე შემცირდა.


¹ 14 კომერციული ბანკის მიხედვით.

**დამოუკიდებელი დოლარიზაცია
(კურსის ეფექტის გამორიცხვით)**



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


**ფიზიკური პირების ვალდებულებების დოლარიზაცია
(კურსის ეფექტის გამორიცხვით)**



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


აპრილში, გაცვლითი კურსის ეფექტის გამორიცხვით, სესხები წლიურად 15.5%-ით გაიზარდა. წინა თვესთან შედარებით, სესხების ზრდის ტემპი 1.1 პპ-ით შემცირდა, რაც როგორც ეროვნული, ისე უცხოური ვალუტის დაკრედიტების ზრდის ტემპის კლებამ განაპირობა. კერძოდ, ეროვნული ვალუტით დაკრედიტება წლიურად 21.0%-ით გაიზარდა (რაც წინა თვის შესაბამის მარვენებელს 0.5 პპ-ით ჩამორჩება) და მთლიანი სესხების ზრდაში 11.6 პპ წვლილი შეიტანა. აპრილში დაკრედიტების ზრდის ტემპის შენელება მეტწილად ბიზნეს სესხებს უკავშირდება. ბიზნეს სესხების წვლილი მთლიანი სესხების ზრდაში 8.2 პპ-ს შეადგენს.

**სასხების წლიური ზრდის ტემპი
(წლილი ზრდაში; კურსის ეფექტის გამორიცხვით)**



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

**სასხები მიზნობრიობის მიხედვით
(წლილი ზრდაში; კურსის ეფექტის გამორიცხვით)**



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

აპრილში, სესხების საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი, წინა თვესთან შედარებით, 0.2 პპ-ით გაიზარდა და 13.7% შეადგინა. ეროვნული ვალუტით გაცემული სესხების საპროცენტო განაკვეთი 0.1 პპ-ით გაიზარდა და 16.1%-ს გაუტოლდა, ხოლო უცხოური ვალუტით გაცემულ კრედიტებზე საპროცენტო განაკვეთი ფაქტობრივად უცვლელად 9.0%-ზე შენარჩუნდა.

**საპროცენტო განაკვეთები იურიდიულ პირებზე
გაცემულ სასხებზე (ნაპალი)**



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

საპროცენტო განაკვეთები იპოთეკურ სასხებზე (ნაპალი)




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

აპრილში, იურიდიულ პირებზე ეროვნული ვალუტით გაცემული სესხების საპროცენტო განაკვეთი, წინა თვესთან შედარებით, 0.3 პპ-ით გაიზარდა და 13.1% შეადგინა. ხოლო, იპოთეკურ სესხებზე ეროვნული ვალუტით გაცემული სესხების საპროცენტო განაკვეთი, 0.1 პპ-ით შემცირდა და 13.2%-ს შეადგინა. აპრილში, წინა თვესთან შედარებით, იურიდიულ პირებზე უცხოური ვალუტით გაცემული სესხების საპროცენტო განაკვეთი 0.1 პპ-ით, 9.2%-მდე გაიზარდა. ასევე, 0.1 პპ-ით, 8.2%-მდე, გაიზარდა უცხოური ვალუტით გაცემული იპოთეკური სესხების საპროცენტო განაკვეთი.


აპრილში, მთლიანი საკრედიტო პორტფელის დოლარიზაცია 0.3 პპ-ით, 43.3%-მდე გაიზარდა. იურიდიული პირების სესხების დოლარიზაცია, წინა თვესთან შედარებით, 0.5 პპ-ით, 64.1%-მდე, ხოლო ფიზიკური პირების სესხების დოლარიზაცია უცვლელად 24.4%-ზე შენარჩუნდა. აპრილში, ვადაგადაცილებული სესხები, წინა თვესთან შედარებით, 65.8 მლნ ლარით გაიზარდა და 620.4 მლნ ლარს გაუცოლდა. ვადაგადაცილებული სესხების 41.8% ეროვნული ვალუტით არის დენომინირებული.

დოლარიზაცია (კურსის ეფექტის გამორიცხვით)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ვადაგადაცილებული დავალიანება




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

საბარეო სექტორი


აპრილში საქონლის რეგისტრირებული საგარეო ვაჭრობის დეფიციტი წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით 22.9%-ით გაუმჯობესდა და 782.5 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. მოცემულ პერიოდში საქონლის იმპორტი წლიურად 3.6%-ით შემცირდა, 1.4 მლრდ აშშ დოლარამდე, ხოლო ექსპორტი 41.1%-ით გაიზარდა (მეცნილად მსუბუქი ავტომობილების რეექსპორტის გამო) და 616.8 მლნ აშშ დოლარს გაუცოლდა.

საქონლის ექსპორტ-იმპორტისა და საგარეო ბალანსის დინამიკა



წყარო: საქსტატი

საგარეო ბალანსი ქვეყნების მიხედვით (აპრილი 2025)




წყარო: საქსტატი


იმპორტი - აპრილში საქონლის იმპორტი წლიურ წრეში 3.6%-ით შემცირდა. აღნიშნული დიდწილად სამომხმარებლო საქონლის იმპორტის კლების შედეგია, კერძოდ, მისი უარყოფითი წვლილი მთლიანი იმპორტის კლებაში -4.0 პპ იყო. ასევე, უარყოფითი კონტრიბუცია ჰქონდა საინვესტიციო საქონელსაც, კერძოდ -2.4 პპ, ხოლო შუალედური მოხმარების საქონლის დადებითმა წვლილმა 2.8 პპ შეადგინა.

სამომხმარებლო საქონლის იმპორტის კლებაში წამყვანი წვლილი მსუბუქ ავტომობილებს შეჰქონდა. შუალედური მოხმარების საქონელში ზრდა ნავთობის აირების იმპორტში დაფიქსირდა, ხოლო ნავთობპროდუქტების იმპორტი კლების მიმართულებით მოქმედებდა. საინვესტიციო საქონლის იმპორტის შემცირებაში წამყვანი წვლილი კომპიუტერულ ტექნიკას ჰქონდა, ხოლო ძრავების და საფრენი აპარატების იმპორტზე დანახარჯები გაიზარდა.

საქონლის იმპორტი სასაქონლო კატეგორიების მიხედვით (წვლილი ზრდაში)



საქონლის იმპორტი (წილი მთლიან იმპორტში)



წყარო: საქსტატი

წყარო: საქსტატი

ქვეყნების ჯგუფის შრილში, აპრილის იმპორტის კლებაში წამყვანი წვლილი ევროკავშირის ქვეყნებმა შეიძინა. აღნიშნული ქვეყნების ჯგუფში, სასაქონლო შრილში კი კლებას ძირითადად ნავთობპროდუქტების იმპორტის შემცირება განაპირობებდა, რომელიც მეტწილად ბულგარეთიდან და რუმინეთიდან განხორციელდა. მიუხედავად ამისა, ევროკავშირის წილი ნავთობპროდუქტების იმპორტში მცირედით გაიზარდა. საპირისპიროდ, ევროკავშირის ქვეყნებიდან ზრდას განაგრძობს წამყვანი საქონლის, მსუბუქი ავტომობილების იმპორტი, რომელიც ძირითადად გერმანიიდან ხორციელდება. აღსანიშნავია, ავტომობილების იმპორტის ზრდა ევროკავშირის სხვა ქვეყნებიდანაც, რის შედეგადაც ევროკავშირის წილი ავტომობილების მთლიან იმპორტში 19.1%-დან 23.3%-მდე გაიზარდა.

ქვეყნებს შორის იმპორტის კლებაში ყველაზე მაღალი წვლილი ჰონკონგსა (კომპიუტერული ტექნიკა) და იაპონიას (ავტომობილები) ჰქონდა. მეორეს მხრივ, იმპორტის კლება არ ფიქსირდება წამყვანი საიმპორტო ქვეყნებიდან, როგორცაა აშშ, თურქეთი, რუსეთი და ჩინეთი.

აშშ-დან იმპორტის ზრდა ძირითადად საინვესტიციო საქონელს უკავშირდება - მათ შორის, ძრავები და ტურბინები. ხოლო მსუბუქი ავტომობილების იმპორტი შემცირებულია.


თურქეთიდან გაზრდილია ნახშირბადოვანი ფოლადის ნაწარმის და მსუბუქი ავტომობილების იმპორტი. ხოლო სამკურნალო საშუალებების იმპორტზე დანახარჯები შემცირებულია.

რუსეთიდან იმპორტზე დანახარჯები გაიზარდა ნავთობის აირების, ნავთობპროდუქტებისა და ხორბლის იმპორტის ხარჯზე. ასევე გაზრდილია ზოგიერთი საინვესტიციო და შუალედური მოხმარების საქონლის იმპორტი.

აღნიშნულ თვეში, ევროკავშირისა და 4 ძირითად სავაჭრო პარტნიორ ქვეყანაზე მთლიანი იმპორტის 74.5% მოდიოდა.


აღსანიშნავია, რომ პროდუქტების შრილში, აპრილში იმპორტირებულ საქონელში წამყვანი წილი მსუბუქი ავტომობილების, ნავთობპროდუქტებისა და სამკურნალო საშუალებების იმპორტს ეკავა. კვლავ მაღალი წილის მიუხედავად, მსუბუქ ავტომობილებს, ნავთობპროდუქტებსა და კომპიუტერულ ტექნიკას (გამომთვლელი მანქანები) კლებაში ყველაზე მაღალი კონტრიბუცია ჰქონდათ.

ქვეყნების წილი საქონლის იმპორტში (აპრილი 2025)




წყარო: საქსტატი

საქონლის ექსპორტი სასაქონლო კატეგორიების მიხედვით (წვლილი ზრდაში)




წყარო: საქსტატი

ექსპორტი - აპრილში საქონლის რეგისტრირებული ექსპორტი წლიურად 41.1%-ით გაიზარდა და 616.8 მლნ აშშ დოლარს გაუცოლდა. ექსპორტის ზრდა დაფიქსირდა ყველა ჯგუფში, თუმცა ზრდაში წამყვანი სამომხმარებლო საქონლის ექსპორტი იყო, სამომხმარებლო საქონლის ჯგუფიდან ყველაზე დიდი პოზიციური წვლილი მსუბუქი ავტომობილების რეექსპორტს ჰქონდა 27.5 კპ. ადგილობრივი წარმოების პროდუქტის, ღვინის ექსპორტის კლებამ, საექსპორტო შემოსავლების შემცირების მიმართულებით იმოქმედა. შუალედური მოხმარების საქონლის ექსპორტში, ყველაზე მეტად ძვირფასი ლითონების მადნების ექსპორტი გაიზარდა. ასევე გაზრდილია სპილენძის მადნების რეექსპორტი. საინვესტიციო საქონლის ექსპორტის კლება სხვადასხვა სამრეწველო საქონლის რეექსპორტის კლებას უკავშირდება.



წყარო: საქსტატი



წყარო: საქსტატი; საქართველოს ეროვნული ბანკის გაანგარიშება

რეგიონის ქვეყნებიდან საქსტატის შემოსავლების ზრდაში ყველაზე მაღალი წვლილი ყირგიზეთში, ყაზახეთსა და აზერბაიჯანში ექსპორტის ზრდას უკავშირდებოდა, რაც ძირითადად მსუბუქი ავტომობილების რეექსპორტით იყო განპირობებული. ამავდროულად, საქსტატის შემოსავლები შემცირებულია რუსეთის ფედერაციიდან და თურქეთიდან.

რუსეთში ექსპორტის კლება ძირითადად ღვინის გაყიდვების შემცირებამ განაპირობა. აგრეთვე შემცირებულია სხვა ადგილობრივი პროდუქციის ექსპორტიც. ზრდის მიმართულებით პოზიციური წვლილი შეიძლება კარგოფილისა და სასმელების დასამზადებელი ნარევების ექსპორტმა.

თურქეთიდან მიღებული საქსტატის შემოსავლების შემცირება ელექტროენერგიის, მინერალური სასუქების, ნავთობპროდუქტებისა და ზოგიერთი ტექსტილის ნაწარმის გაყიდვების კლებას უკავშირდება.

ევროკავშირის ქვეყნებიდან მიღებული საქსტატის შემოსავლების წვლილმა მთლიან ზრდაში 10.7 პპ შეადგინა. ზრდა ძირითადად უკავშირდება ძვირფასი ლითონებისა და სპილენძის მადნების ექსპორტს.

ჩინა წელთან შედარებით ქვეყნების მიხედვით ექსპორტის დივერსიფიკაცია უმნიშვნელოდ იყო შემცირებული.


აპრილში საქონლის ექსპორტის უდიდესი წილი მსუბუქ ავტომობილებს (34.9%-იანი წილი მთლიან ექსპორტში) ეჭირა. ძირითადი საქსტატის პროდუქტებიდან გაიზარდა ძვირფასი ლითონებისა და სპილენძის მადნების ექსპორტიდან მიღებული შემოსავალი. მეორეს მხრივ, კვლავ შემცირებას განაგრძობს ღვინის გაყიდვებიდან მიღებული საქსტატის შემოსავლები.

ჩინა წელთან შედარებით სასაქონლო ჯგუფების მიხედვით ექსპორტი უფრო ნაკლებად დივერსიფიცირებული იყო.

ფულადი გზავნილები - აპრილში საქართველოში გადმორიცხული ფულადი გზავნილების მოცულობა წლიურად 6.1%-ით, 295.5 მლნ აშშ დოლარამდე გაიზარდა. ხოლო საქართველოდან გადმორიცხული თანხების მოცულობა - 4.9% -ით, 31.9 მლნ აშშ დოლარამდე. ევროკავშირიდან მიღებული ფულადი გზავნილები 13.8%-ით 132.5 მლნ აშშ დოლარამდე გაიზარდა და დიდწილად დაბალანსა რუსეთიდან მიღებული ფულადი გზავნილების კლება. რუსეთიდან ფულადი გადმორიცხვები წლიურად 18.9%-ით, 39.9 მლნ აშშ დოლარამდე შემცირდა. თუმცა 16.6%-ით ზრდას განაგრძობდა აშშ-დან მიღებული გზავნილები.


აპრილში ფულადი გზავნილების ძირითად წყაროს ევროკავშირის ქვეყნები (44.8%), აშშ (18.3%) და რუსეთი (13.5%) წარმოადგენდა. ევროკავშირის ქვეყნებიდან აღსანიშნავია იტალიის (17.0%), გერმანიისა (8.4%) და საბერძნეთის (8.3%) მაღალი წილი.

ქვეყნების წილი სწრაფ ფულად გზავნილებში
(აპრილი 2025)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ფულადი გზავნილების ზრდა
(წვლილი ზრდაში ქვეყნების მიხედვით)




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

საპალუტო ბაზარი


აპრილში, წინა თვესთან შედარებით, ლარის საშუალო გაცვლითი კურსი აშშ დოლარის მიმართ 2.7791-დან 2.7543-მდე (0.9%-ით) გამყარდა, ხოლო ევროს მიმართ - 2.9951-დან 3.0894-მდე (3.1%-ით) გაუფასურდა. თვის ბოლოს ლარის ოფიციალურმა გაცვლითმა კურსმა აშშ დოლარისა და ევროს მიმართ 2.7516 და 3.1305 შეადგინა. საანგარიშო პერიოდში ლარი-დოლარის გაცვლითი კურსის მაქსიმალური მნიშვნელობა 2.7648 იყო, მინიმალური კი - 2.7492.

ლარის ნომინალური გაცვლითი კურსი აშშ დოლარისა და ევროს მიმართ



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ლარი/დოლარის გაცვლითი კურსის ყოველთვიური მერყეობის დიაგრამა



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

აპრილში, საშუალო კურსთან მიმართებით, გაცვლითი კურსის მაქსიმალური მნიშვნელობა მინიმალურთან შედარებით ორჯერ მეტად იყო გადახრილი.


აპრილში საშუალოდ, დოლართან მიმართებაში შესამჩნევია თურქული ლირის გაუფასურება; შესამჩნევად გამყარდა ევრო და რუსული რუბლი, ასევე გამყარებით ხასიათდებოდა ლარი და სომხური დრამი; აზერბაიჯანული მანათი კი პრაქტიკულად არ შეცვლილა.

თვის განმავლობაში საშუალო კურსიდან გადახრა (ლარი/დოლარი)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ძირითადი სავაჭრო პარტნიორების საშუალო თვიური გაცვლითი კურსების ცვლილება დოლართან მიმართებით (აპრილი 2025; ზრდა=გაუფასურება)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


ლარის რეალური ეფექტური გაცვლითი კურსი წლიურად 8.2%-ით, თვის წრილში კი 0.6%-ით გაუფასურდა. რაც შეეხება ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსის ინდექსს, წლიურად 2.3%-ით გაუფასურდა, თვის წრილში კი პრაქტიკულად არ შეცვლილა.

ეფექტური კურსის გაუფასურება ქვეყნის კონკურენტუნარიანობაზე დადებითად აისახება.

სავაჭრო პარტნიორთაგან აპრილში წლიური ინფლაცია თურქეთში, უკრაინაში, რუსეთში, აზერბაიჯანსა და ბელარუსში საქართველოსთან შედარებით მაღალი იყო, ხოლო სომხეთში, აშშ-სა და ევროზონაში - დაბალი.


ძირითადი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნებიდან ნაწილში ინფლაციის კლების ტენდენცია შეინიშნება, თუმცა მთლიანობაში ფასების დონე ჯერ ისევ მაღალ დონეზე ნარჩუნდება.

ლარის ნომინალური და რეალური ეფექტური გაცვლითი კურსის ინდექსები (იანვ 2020=100)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

საპაჭრო პარტნიორი ქვეყნების ინფლაციები (აპრილი 2025)




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

სავალუტო ბაზრის ტენდენციები


აპრილში ბანკთაშორის სავალუტო ბაზარზე მონაწილეობდა 15 კომერციული ბანკი, 1 მიკრობანკი და 7² არასაბანკო ორგანიზაცია. სავალუტო ბაზრის მაჩვენებლების მიხედვით, თვითრად ჰერფინდალ-ჰირშმანის ინდექსი დაბალ დონეზე ნარჩუნდება, რაც სავალუტო ბაზრის მაღალ კონკურენტუნარიანობაზე მიუთითებს.

ბანკთაშორის სავალუტო ბაზრის მთლიანი საპაჭრო ბრუნვა



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ბანკთაშორის სავალუტო ბაზრის კონცენტრაციის მაჩვენებლები 5 ყველაზე აქტიური ორგანიზაციის წილებს მიხედვით



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


აპრილში ბანკთაშორის სავალუტო ბაზარზე ვაჭრობის მოცულობა გაზრდილია როგორც თვითრად, ასევე წლიურად. აღნიშნულ თვეში აშშ დოლარი/ლარის ვაჭრობის მთლიანმა ბრუნვამ 331.7 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა თვესთან შედარებით 103.4 მლნ აშშ დოლარით, წინა წლის აპრილთან შედარებით კი - 106.7 მლნ აშშ დოლარით მეტია. ბაზრის მონაწილეებს შორის დადებული გარიგებების რაოდენობა წინა თვესთან შედარებით 4.2%-ით, წლიურად კი 24.8%-ით შემცირდა.

საანგარიშო პერიოდში სავალუტო ბაზარზე ყიდვა-გაყიდვების აქტივობები (უცხოური ვალუტით ლარის შეძენა და პირიქით განხორციელებული ტრანზაქციები) თითქმის მთლიანად სპოტ³ გარიგებებით ხდებოდა (99.1%) და მთლიანმა ვაჭრობამ 3,342.0 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც წლიურად 113.4 მლნ აშშ დოლარითაა გაზრდილი, ხოლო თვის წრიულში 285.9 მლნ აშშ დოლარით. სპოტ გარიგებების ძირითადი ნაწილი - იურიდიულ პირებსა და შინამეურნეოებზე, მცირე კი არარეზიდენტ ბანკებზე მოდიოდა. საქართველოს ეროვნული ბანკის წილი მთლიან ვაჭრობაში 8.0% იყო. წესებზე დაფუძნებული ორმხრივი ინტერვენციების მექანიზმის გამოყენებით თვის განმავლობაში ეროვნული ბანკის წმინდა შესყიდვამ 266.4 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.

² რომლებიც მონაწილეობენ ბანკთაშორის სავალუტო ბაზარზე დადებულ გარიგებებში.


³ სპოტ გარიგება ხდება იმავდროული ვალუტირებით, იმ დროისთვის არსებული კურსით.

საბ-ის მონაწილეობა სავალუტო ბაზარზე



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

საოტ გარიგებებით უცხოური ვალუდით ვაჭრობა




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

აპრილში საოტ გარიგებებით კომერციული ბანკებისგან დანარჩენი ეკონომიკური აგენტების მიერ უცხოურ ვალუტაზე გაზრდილია როგორც მოთხოვნა, ასევე მიწოდება.

საერთო ჯამში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, აპრილში საოტ გარიგებებით კომერციული ბანკებისგან დანარჩენი ეკონომიკური აგენტების მიერ უცხოურ ვალუტაზე მოთხოვნა წლიურად 74.7 მლნ აშშ დოლარით გაიზარდა (თვიურ წრილში 150.0 მლნ აშშ დოლარით) და 1,749.9 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. ხოლო მიწოდება წლიურად 38.7 მლნ აშშ დოლარით გაიზარდა (თვის წრილში 135.9 მლნ აშშ დოლარით) და 1,592.1 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. საოტ გარიგებებით როგორც ვალუტის შეძენაში, ასევე ვალუტის გაყიდვაში ყველაზე დიდი წილი იურიდიულ პირებსა და შინამეურნეობებზე მოდიოდა.


აპრილში სავალუტო ფორვარდ⁴ გარიგებებით (უცხოური ვალუდით ლარის შეძენა და პირიქით განხორციელებული ტრანზაქციები) კომერციულ ბანკებსა და სხვა ეკონომიკურ აგენტებს შორის უცხოური ვალუდით ვაჭრობა წლიურად 13.5 მლნ აშშ დოლარით შემცირდა (თვიურ წრილში - 2.1 მლნ აშშ დოლარით) და 29.0 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. ფორვარდ გარიგებებით ვაჭრობის ძირითადი ნაწილი - იურიდიულ პირებზე, ხოლო მცირე ნაწილი შინამეურნეობებსა და არარეზიდენტ ბანკებზე მოდიოდა. ფორვარდ გარიგებებით დანარჩენი ეკონომიკური აგენტების მიერ ბანკებისგან უცხოური ვალუტის წმინდა შესყიდვამ 23.8 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.

ბანკთაშორის საოტ გარიგებებით უცხოური ვალუტა და გაყიდული უცხოური ვალუტა



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ფორვარდ გარიგებებით უცხოური ვალუდით ვაჭრობა




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

აპრილის მდგომარეობით, წინა თვესთან შედარებით, ოფიციალური საერთაშორისო რეზერვები 207.6 მლნ აშშ დოლარით გაიზარდა, რეზერვების მთლიანმა მოცულობამ კი 4.5 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა. რეზერვებზე ზრდის მიმართულებით მთავრობის მიერ მიღებული სავალუტო ჩარიცხვები, რეზერვებზე საპროცენტო შემოსავლები და სავალუტო ინტერვენციების საშუალებით უცხოური ვალუტის წმინდა შეძენა, ხოლო შემცირების მიმართულებით მთავრობის სავალუტო ხარჯები (სესხის მომსახურება) მოქმედებდა.

⁴ სავალუტო ფორვარდული კონტრაქტი არის ფართოდ მოხმარებადი ფინანსური ინსტრუმენტი, რომელიც გამოიყენება სავალუტო რისკების მენეჯმენტისთვის (დაზღვევისათვის). ფორვარდი იძლევა შესაძლებლობას, წინასწარ განსაზღვრული კურსით, დღეს დაიდოს სავალუტო გარიგება ხოლო შესაბამისი ანგარიშსწორება განხორციელდეს მომავალში.

ეროვნული ბანკის ოფიციალური საერთაშორისო რეზერვები



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

მთლიანი საერთაშორისო რეზერვების თვიური ცვლილება (მიმდინარე კურსით)




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ფულადი ბაზარი

აპრილში სადებოზიფო სერტიფიკატების ერთი აუქციონი ჩატარდა და 20 მლნ ლარის ღირებულების სამთვიანი სადებოზიფო სერტიფიკატი გაიყა. ამავე პერიოდში 20 მლნ ლარის სადებოზიფო სერტიფიკატი დაიფარა. შესაბამისად, წინა თვესთან შედარებით, სადებოზიფო სერტიფიკატების ნაშთი არ შეცვლილა და 60 მლნ ლარი შეადგინა.


აპრილში სახაზინო ფასიანი ქაღალდების ექვსი აუქციონი ჩატარდა. აღნიშნულ აუქციონებზე ჯამში 220.0 მლნ ლარის ნომინალური ღირებულების სახელმწიფო ფასიანი ქაღალდები განთავსდა. აპრილში ჩატარებულ აუქციონებზე გაიყიდა 6-თვიანი, ერთწლიანი, სამწლიანი, ხუთწლიანი, რვანწლიანი და ათწლიანი ვადიანობების სახაზინო ფასიანი ქაღალდები, რომლებიც, შესაბამისად, 20, 20, 40, 60, 50 და 30 მლნ ლარის ოდენობით განთავსდა. დაფარვების გათვალისწინებით, სახაზინო ფასიანი ქაღალდების ნაშთი წინა თვესთან შედარებით 183.7 მლნ ლარით გაიზარდა და 10,452.2 მლნ ლარი შეადგინა. მთლიანი პორტფელის 71.0%-ს კომერციული ბანკების, 14.6%-ს ეროვნული ბანკის, 13.1%-ს რეზიდენტების, ხოლო 1.3%-ს არარეზიდენტების მფლობელობაში არსებული სახაზინო ფასიანი ქაღალდები შეადგენს.

სადებოზიფო სერტიფიკატების მოცულობა (ნაპალი)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


სახაზინო ფასიანი ქაღალდების მოცულობა




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

აპრილში სადებოზიფო სერტიფიკატების საპროცენტო განაკვეთები უცვლელად შენარჩუნდა. სახაზინო ვალდებულებების საპროცენტო განაკვეთები დიდწილად არ შეცვლილა, ხოლო სახაზინო ობლიგაციების საპროცენტო განაკვეთები გაიზარდა. კერძოდ, აპრილში, წინა თვესთან შედარებით, სადებოზიფო სერტიფიკატებზე საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი 7.5%-ს შეადგენდა. ექვსთვიანი სახაზინო ვალდებულებების საპროცენტო განაკვეთი წინა თვესთან შედარებით 0.1 პპ-ით შემცირდა და 7.5% შეადგინა. ერთწლიანი სახაზინო ვალდებულების საპროცენტო განაკვეთები კი უცვლელად 7.6%-ზე შენარჩუნდა. ასევე უცვლელი დარჩა სამწლიანი სახაზინო ვალდებულებების საპროცენტო განაკვეთები და 8.5% იყო. ხუთწლიან და ათწლიანი სახაზინო ვალდებულების საპროცენტო განაკვეთებიც 0.2 – 0.2 პპ-ით გაიზარდა და შესაბამისად, 8.7% და 9.1% შეადგინა.





წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

აპრილში ბანკთაშორის ფულადი ბაზრის მოცულობა თვიურად 3,821.5 მლნ ლარით (წლიურად 6,024.4 მლნ ლარით) 18,035.0 მლნ ლარამდე შემცირდა, რაც უცხოური ვალუტის რესურსით შემცირებით არის განპირობებული. ბანკთაშორის ფულადი ბაზრის დიდი წილი უცხოური ვალუტის ბრუნვაზე მოდის (88.6%), რომლის მოცულობაც თვიურად 2,774.5 მლნ ლარით (14.8%-ით) შემცირდა. ლარის რესურსის ბრუნვის მოცულობა კი თვიურად 1,047.0 მლნ ლარით (33.7%-ით).

რაც შეეხება საპროცენტო განაკვეთებს, ბანკთაშორის ბაზარზე ლარის საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი თვიურად არ შეცვლილა და 7.9% შეადგინა. უცხოური ვალუტის რესურსზე საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი, წინა თვესთან შედარებით 0.1 პპ-ით გაიზარდა და 2.0% შეადგინა.

აღსანიშნავია, რომ აპრილში ფულადი ბაზრის რესურსის 28.0% ერთ თვემდე ვადიანობის დეპოზიტებზე, ხოლო 71.7% კი მიმდინარე ანგარიშებზე განთავსებულ რესურსზე მოდიოდა.

ბანკთაშორის ფულადი ბაზარი



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


მონეტარული აბრეგადები

აპრილში, წინა თვესთან შედარებით, სარეზერვო ფულის მოცულობა 457.7 მლნ ლარით (5.9%-ით) შემცირდა და პერიოდის ბოლოსთვის, 7.3 მლრდ ლარი შეადგინა. მონეტარული ბაზა, საშუალო მაჩვენებლის მიხედვით, წინა თვესთან შედარებით, 25.7 მლნ ლარით (0.3%-ით) გაიზარდა.

აპრილში, სავალუტო აუქციონებზე დაფუძნებული მექანიზმის გამოყენებით ეროვნული ბანკის ოპერაციები არ განუხორციელებია. BMatch პლატფორმის წესებზე დაფუძნებული მექანიზმის გამოყენებით ეროვნული ბანკის წმინდა შესყიდვებმა აპრილის განმავლობაში 266.4 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. ამასთან, შიდა სამთავრობო კონვერტაციებით ეროვნული ბანკის წმინდა სავალუტო გაყიდვებმა 145.5 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. შედეგად, წმინდა უცხოური აქცივები დაახლოებით 120.9 მლნ აშშ დოლარით გაიზარდა.


აპრილში, მთავრობის დეპოზიტებზე არსებული სახსრები 1.5 მლნ ლარით შემცირდა და მისი მოცულობა პერიოდის ბოლოსთვის, 915.7 მლნ ლარს გაუცოლდა.

**სარეზერვო ფულის თვიური ცვლილება
კომპონენტების მიხედვით**



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ფულადი აგრეგატი




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

აპრილში, ნაღდ ფულზე მოთხოვნა 119.2 მლნ ლარით გაიზარდა. რეფინანსირების სესხებმა, წინა თვესთან შედარებით, 540.0 მლნ ლარით მოიმადა. ერთდღიანი სესხის ნაშთი კი 1,700.0 მლნ ლარით შემცირდა. აპრილში, განთავსდა 20.0 მლნ ლარის სადეპოზიტო სერთიფიკატი და იმავე პერიოდში დაიფარა იგივე ნომინალური მოცულობის სადეპოზიტო სერთიფიკატი. მეორად ბაზარზე, სახაზინო ფასიანი ქაღალდების შესყიდვის ოპერაციები არ განხორციელებულა. მთლიანობაში, აპრილში ბანკების წმინდა დავალიანების მოცულობა 747.5 მლნ ლარით შემცირდა და პერიოდის ბოლოსთვის, 7,393.0 მლნ ლარს გაუცოლდა.


აპრილში, ფართო ფულის (M3) მოცულობა, თვიურად 88.5 მლნ ლარით გაიზარდა. აღნიშნული გამოწვეულია უმთავრესად, ლარის ვალუტის დეპოზიტების ზრდის გავლენით. რაც შეეხება, ფართო ფულის M2 აგრეგატს, მისი მოცულობა 143.2 მლნ ლარით გაიზარდა.

საბანკო სექტორის ლიკვიდობაზე მოქმედი ფაქტორები



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

მონეტარული ოპერაციები



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

საქართველოს ეროვნული ბანკი 0114, ზვიად გამსახურდიას სანაპირო N1
ტელ: 240 64 88; ფაქსი: 240 65 77; ცხელი ხაზი: 240 64 06
ელ ფოსტა: info@nbg.ge; www.nbg.ge

